№ 152 ივლისი 15 ხუთშაბათი 1886 ივლისი 15 ხუთშაბათი, № 152

გაზეთი ღირს:

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბალოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნებისმაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერიის“ 1-ლის ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

ტფილისი, 14 ივლისი

მეორე მუხლი, რომელზედაც ბ-ნს ყიფიანს დაუპირებია მაგრად დგომა და რომლიდამაც—გვპირდება—აღარ გამოვალთ, შემდეგი არის:

> „ჩვენ, ფულის პატრონებს (?) ზოგიერთს შემთხვევაში ისეთი შეღავათი გვეძლევოდეს, როგორსაც ის (ესე იგი სახელმწიფო) ბანკი აძლევს თავის მოვალეებს, ფულის არა-პატრონებს“.

განვიხილოთ ის შეღავათები რა შეღავათებია, რომელიც ესე ძლიერ მოუწადინებია ბ-ნს ყიფიანს. ეხლანდელის თავად-აზნაურთა ბანკის წესით ბანკიდამ ვალის ამღებსა, პირველ ვადის გადაცილების შემდეგ, მარტო ორი თთვე კიდევ შეღავათი ეძლევა და ამ ხანის განმავლობაში ერთმევა თთვეში 1°/₀-ი ჯარიმა შემოსატანად დარჩენილ ფულზედ. ორ თთვეს შემდეგ კი, თუ მაინც არ შემოიტანა, მამული ინიშნება საჯარო გასასყიდად და ეს გასყიდვა მეექვსე თთვის დასასრულს მოხდება ხოლმე. თვითონ მთავრობა, რომელიც ადარებს კერძო საადგილ-მამულო ბანკის წესებს იმ წესებთან, რაც ახალს სახელმწიფო ბანკს დაედვა, აი რას ამბობს ზემოხსენებულ წესის შესახებ:

> „Такой крайне строгій порядокъ взысканія находитъ себѣ нѣкоторое оправданіе въ срочности обязательствъ, лежащихъ на самихъ банкахъ по оплатѣ купоновъ закладныхъ листовъ и въ необходимости поставить исправное выполненіе этихъ обязательствъ внѣ вліянія всякой случайности. Но *государственному кредитному установленію*, учреждаемому спеціально для поддержанія дворянской земельной собственности, дана возможность проявлять, *не впадая въ излишнія послабленія*, большую снисходительность въ дѣлѣ взысканія и оказывать заемщикамъ *временныя льготы* въ тѣхъ *исключительныхъ* случаяхъ, когда *неисправность* не есть послѣдствіе дурнаго хозяйства, но происходитъ отъ непредвидѣнныхъ бѣдствій, если при томъ ближайшее изслѣдованіе положенія дѣлъ заемщика приводитъ къ убѣжденію, что *не продолжительная* отсрочка или разсрочка платежей въ состояніи дать ему возможность поправить дѣла.“ [1]

დაუკვირდით ამ სიტყვებს და თუ ჩვენი სიტყვა არა გჯერათ, თვითონ სახელმწიფო ბანკს მაინც დაუჯერეთ. მე შემიძლიან ისე სასტიკად არ მოვექცეო ვალის ამღებსა, როგორც კერძო ბანკიო, იმიტომ რომ მე სახელმწიფო ბანკი მქვიანო და სახელმწიფოსათვის შესაძლებელიაო მეტი შეღავათი მისცეს ვალის ამღებსა, ისიც მაშინ, როცა დამტკიცდება პირველი,—რომ ბანკში შემოსატანი ფული უთაურობით და დაუდევნელობით კი არა რჩება შემოუტანელი მოვალესაო, არამედ იმიტომ რომ განსაკუთრებული უბედურება რამ სწვევიაო და მეორე,—თუნდა უბედურებაც სწვევოდეს, უნდა დარწმუნებული ვიყოთ, რომ შეღავათი, ჩემგან მიცემული, საქმეს გაუსწორებსო.

ახლა ვიკითხოთ,—რა შეღავათს იძლევა ისიც ასეთის სიფთხილით და გამოძიებითა? პირველი,—პირველ ვადის გატარების დღიდამ ორის თთვის მაგიერ, ექვსს თთვეს აცლის დაწესებულის შემოტანას, პირველს ორს თთვეში ½°/₀-ს ჯარიმას ართმევს და დანარჩენებში კი 1°/₀-სა და თუ არც ექვსი თთვის განმავლობაში შემოიტანა, მამულს ჰყიდის. მეორე,—თუ ვალის ამღებს განსაკუთრებული უბედურება ეწვია, მაგალითებრ, ცეცხლმა დააზიანა, წყალმა, სეტყვამ წაუხდინა მოსავალი, საქონლის ჭირმა დაუხოცა პირუტყვი, კალიამ, მწერმა რომელმამე გაუფუჭა ყანა, ვენახი და სხვა ნერგეულობა, ანუ თვით მამულის პატრონი გარდაიცვალა და მცირე წლოვანები დარჩნენ,—ამ შემთხვევებში ნება აქვს მოვალეს შეღავათი ითხოვოს[2].

სახელმწიფო ბანკის წესდების 54 მუხლშია ჩამოთვლილი მთლად იგი შეღავათები, რაც ზემოხსენებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა მიეცეთ ვალის ამღებთა. აი რა შეღავათებია: ან ბანკი სამს წელიწადს დააცლის მარტო ერთის წლის შემოსატანს კი და არა მეტს იმ უსათუო პირობით, რომ დაცლილის შემოსატანის მეექვსედი ყოველ ექვსის თთვის შემოსატანს ზედ დაერთოდეს და ამასთან ერთად შემოიტანებოდეს ხოლმე, ან ერთის წლით აცლის და წლის ბოლოს კი უსათუოდ უნდა მოშორებულ იქმნას. ამ დაცლილ შემოსატანშიაც სახელმწიფო ბანკი სარგებელს ახდევინებს ასზედ ექვსსა. ამის მეტს არა ვითარს შეღავათს არ იძლევა სახელმწიფო ბანკი და სჩანს ბ-ნი ყიფიანიც სწორედ ამას ითხოვს.

ამ სახით გამოდის, რომ ბ-ნი ყიფიანი ითხოვს, 1) ორის თთვის მაგიერ პირველ შემოტანის ვადიდამ ექვსი თთვე დაგვაცალოს ჩვენმა ბანკმაო და 1°/₀ ჯარიმის მაგიერ ½°/₀ გვახდევინოს პირველს ორ თთვესაო და დანარჩენში კი 1°/₀-იო. 2) თუ რამ განსაკუთრებული უბედურება გვეწვია, ან ერთის წლით დაგვაცალოს ერთის უბედურის წლის შემოსატანიო, ან სამის წლითაო, რომ ნაწილ-ნაწილ შემოვიტანოთო და ამისათვის 6°/₀ გვახდევინოსო.

პირველზედ იმას ვიტყვით, რომ თუმცა ჩვენს ბანკს ორი თთვე აქვს დადებული წესად და თუმცა ამას ითხოვს, თვითონ მთავრობის სიტყვისა მებრ:

> „Срочность обязательствъ, лежащихъ на самихъ банкахъ по оплатѣ купоновъ закладныхъ листовъ и необходимость поставить исправное выполненіе этихъ обязательствъ внѣ вліянія всякой случайности“,—[3]

მაგრამ მაინც საქმე ისე მოდის, რომ მამული ექვს თთვეზედ ადრე არ ჩავარდება ხოლმე გასასყიდად.

---

[1] Вѣстникъ финансовъ, промышленности и торговли № 26, стр. 883.

[2] Утверждныые г. Министромъ финансовъ 4 декабря 1885 года правила дѣйствій и порядка дѣлопроизводства Государственнаго Дворянскаго земельнаго банка § 46.

[3] Вѣстникъ финансовъ и т. д., стр. 883.

ფელეტონი

ზოგიერთი საყმაწვილო თამაშობანი სვანეთში.

(შეკრებილი თავისუფალ სვანეთში)

(დასასრული*)

X **ლიხუნბუცალ.** ვაკე ადგილს ყმაწვილები გამწკრივდებიან რიგზედ და ამასთანავე წამოიხრებიან წინ ისე, რომ მათი ხელები თავ-თავიანთ მუხლებზე იყოს დაყრდნობილი. თავში მდგომი ყმაწვილი დაიწყებს თავიდამ და ყველა დაღუნულს ყმაწვილს თითოეულად გადაახტება; ამას მოჰყვება უკან მისი მომდევარი, მას კიდევ სხვა და ასე ამ ნაირად ბოლომდე. როდესაც ყმაწვილი სხვას გადაახტება, ვალდებულია დადგეს დაღუნული იქ, სადაც ყმაწვილების წყება თავდება, რომ მასაც გადაახტენ სხვები. წინ მოხრილი ყმაწვილები ერთი მეორისაგან უნდა იდგნენ არა უშორეს ერთის ბიჯისა.

XI **ლილჩე.** ერთი ყმაწვილი დაჯდება მიწაზე და ფეხს მოირთხამს, მოიკეცავს; მეორე—თავზე ერთ-ერთ ხელს დაადებს და ისე დაადგება მცველად; დანარჩენი ყმაწვილები, რამდენიც უნდა იყვნენ, გარს შემოეხვევიან და ცდილობენ მჯდომს ყმაწვილს დაარტყან ხელი. მცველი ყმაწვილი თვალებ გაფაციცებული უყურებს ყველას, ტლინკავს, ფეხებს იქნევს უკან, განზე, ედევნება ყმაწვილს, რომელიც უახლოვდება დასარტყმელად მჯდომს ყმაწვილს და ციბრუტივითა ტრიალებს, რომ ყმაწვილი დარტყმისაგან დაიცვას. დამცველის მოვალეობაა, შემოხვეულ ყმაწვილებთაგანს ვისმე შემოჰკრას ფეხი იმ პირობით კი, რომ ხელი უთუოდ მჯდომ ყმაწვილის თავზე ჰქონდეს დაბჯენილი, დადებული და წიხლი მოარტყას ვისმე წელს ქვეით, წელს ზეით არ შეიწყნარება.

რომელ ყმაწვილსაც ამ გვარად მოხვდება მცველის ფეხი, ის ყმაწვილი უნდა დაჯდეს და მისი მცველობა უნდა იკისროს აქამდი მჯდომმა ყმაწვილმა. ასე რიგად განაგრძობენ თამაშს, სანამ არ მოეწყინებათ. ეს თამაშობა ძლიერ გახშირებულია.

XII **ლიყანსგუნალ.** გამოსჭრიან ხოლმე თითქმის ერთ არშინის სიგრძე ჯოხს. ბოლოში ჯოხს გვერდზე მტკაველის სიგრძეს შემოათლიან. ამ ჯოხს ეძახიან «ყარ»-ს. ამ ჯოხის სიმსხოს, სიგრძით სამს გოჯიანს გამოსჭრიან კიდევ მეორე ჯოხსა, რომელსაც «ყანსგვ»-ს (აქედამ სახელწოდება „ლიყანსგუნალ„) უწოდებენ. ყმაწვილები ორ თანასწორ ჯგუფად გაიყოფებიან. დაწყების შესახებ კენჭს იყრიან, როგორც ნაჩვენებია ზემოდ I თამაშში. დამწყების ჯგუფის ერთ-ერთი ყმაწვილი «ყარს» მარჯვენა ხელში (თუ ყმაწვილი მემარცხენეა—მარცხენაში) დაიჭერს, „ყანსგვს“ მარცხენაში, პირველს შემოჰკრავს ღონივრად მეორეს და გაისვრის შორს, რამდენსაც შეიძლებს. შემდეგ «ყარ»-ს მიაყუდებს კედელს, მოზრდილ ქვას, კუნძს, ან სხვა ამ გვარ რასმეს. მეორე ჯგუფი ამ დროს უყურებს, საით მიდის „ყანსგვ“-ი და ცდილობს როგორმე დაიჭიროს. თუ ვერ დაიჭირეს, მაშინ «ყანსგვი» უნდა ესროლოს «ყარს», თუ მოახვედრა, ყმაწვილმა თავისი რიგი გაათავა, ესე იგი თამაშობას, სროლას თავი უნდა დაანებოს და სხვას, თავის ამხანაგს გარდასცეს. რამდენ სროლასაც მოასწრებს, ე. ი. ყანსგვის გასროლას, იმდენი რიცხვი (შელდ) ჰმართებს, ვალად აძევს მეორე ჯგუფსა. თუ მსროლელის ყანსგვი მოწინააღმდეგე ჯგუფმა დაიჭირა, მაშინ ყველა მისი ნასროლი უქმად ჩაივლის, ე. ი. თითქოს სულ არ ესროლოს ყმაწვილს. როცა ყმაწვილი სროლას გაათავებს, მაშინ მეორე მისი ამხანაგი დაიწყებს, მერე მესამე... და ასე სულ ბოლომდის. თითოეულ ყმაწვილის ნასროლს ერთი მეორეს უმატებენ და ამ ნაირად შესდგება საზოგადო ჯამი ერთის ჯგუფის მსროლელ ყმაწვილებისა. ვსთქვათ დამწყებმა ჯგუფმა ასჯერ გაისროლა „ყანსგვი“, მაშინ ამბობენ, რომ მეორე ჯგუფს ჰმართებს პირველისა ასი «ყანსგვი»-ო. ახლა უნდა დაიწყოს სროლა მეორე ჯგუფმა. თუ ამ უკანასკნელმა ვალი გადიხადა, ე. ი. მოასწრო ასჯერ ყანსგვის სროლა და კიდევ გადაამეტა, მაშინ ეს ჯგუფი მჯობნია და პირველმა უნდა შეისვას ზურგზე და დანიშნულს მანძილზე უნდა ატაროს; თუ ვერ გაისტუმრა ვალი, ე. ი. ასი სროლა ვერ მოასწრო, მაშინ ეს უკანასკნელია მოვალე, პირველი ჯგუფი ატაროს ზურგით.

XIII **ლიჭლოკი.** აიღებენ ორს ჯოხს; ერთს წინ დააგდებს ყმაწვილი გარდი-გარდმო, მეორეს ხელში დაიჭერს. ერთის ხელის სალოკ თითს ჯოხის თავს დააბჯენს, მეორე ხელით შუაში ჩაეჭიდება ჯოხს და დაატრიალებს ერთჯელ ან რამდენჯელმე, მანამ ხელში დაჭერილ ჯოხს დაგდებულ ჯოხს არ მოარტყავს და წინ არ გადაისვრის. მერე ამ ჯოხს გაისვრიან და რა ადგილამდიც ეს ნასროლი ჯოხი გასრიალდება, იმ ადგილს უნდა წაიღონ დაგდებული ჯოხიც. ასე მეორეთ, მესამეთ და სულ, სანამ მსროლელი ჯოხებს ერთმანერთს არ დააცილებს. მსროლელი კი სულ ერთს ადგილას უნდა იდგეს წინ უწეველად, სანამ თამაშს არ გაათავებს. შემდეგ განაგრძობს თამაშს დამწყების ჯგუფის მეორე ყმაწვილი იმ ადგილიდამ, სანამდის მან, ე. ი. პირველმა მიიტანა ჯოხი სრიალით: დასადგომი მანძილი-კი ყველა ბაშვებისათვის ერთი და იგივეა, რაც უნდა ჯოხი შორს გასრიალდეს. როდესაც ერთის ჯგუფის ბაშვები გამოილევიან, მაშინ დაიწყებს მეორე ჯგუფი. რომელი ჯგუფიც უფრო შორს გაასრიალებს ჯოხს, მჯობნიც ის არის. სასჯელი ზურგზე აკიდებაა მჯობნელთა და მათი ტარება.

XIV **ლიჯარბზუნალ.** იმ მანძილზე, სადამდინაც ყმაწვილს თავისუფლად შეუძლიან მოდიდო რიყის ქვა მიუწიოს ერთის ხელით, დასდგამენ ერთის მეორეს პირ-და-პირ ორს ბრტყელს ქვას. ბაშვების ერთი ჯგუფი მეორისას ესვრის ქვას და უნდა მოარტყას ნიშნად დასმულს ქვას. მეორე ჯგუფიც ამ ნაირად უხდის მაგიერობას. რომელ ჯგუფის ქვასაც მომეტებული რიცხვი ქვებისა მოჰხვდება, იგი წაგებულია და ნაჯობნი ჯგუფი უნდა ატაროს ზურგით.

XV **ლიბულთალ.** ბურთს აკეთებენ ყმაწვილები პირუტყვის ბალნისაგან. თუმცა ბურთის თამაში უყვარდათ აქ, მაგრამ ისე კი არა, როგორც მაგალითად იმერეთში. დიდებში სულ არ არის შემოღებული ბურთის თამაში. ამის მიზეზი, ჩემის აზრით, ადგილის უსწორ-მასწორობა უნდა იყოს. გაშლილს ვაკეებს მარტო აქა-იქა შეჰხვდებით სვანეთის სოფლებში.

XVI **ლიჩირჯიკალ.** „ჩირჯიკი“ (ბზრიალა, ВОЛЧОКЪ) საყვარელი სათამაშოა სვანების ყმაწვილებისა. გაზაფხულის და განსაკუთრებით შემოდგომის ყინვები წყლების ნაპირად ძლიერ ხელს უწყობს ყმაწვილებს ამ თამაშობაში.

XVII **ფაყვა ლიკედ.** დაბალ ქუდს დააგდებენ მიწაზე, მოვა ყმაწვილი, ხელებს ზურგზე დაიწყობს და მაგრად ერთმანეთს ჩასჭიდებს. ყმაწვილი ქუდის ახლო დადგება, ცალ ფეხს ასწევს და ცალ ფეხზე მდგომი დაიღუნება წინ ქუდის ასაღებად კბილებით. ვინც ამ ნაირად ქუდს აიღებს, მარჯვე ყმაწვილად ითვლება.

XVIII. ყმაწვილი დაჯდება მიწაზე ისე, რომ მუხლები და ფეხები ერთი მეორეზე ჰქონდეს მჭიდროდ მიდებული. ორივე ხელებს წვივებთან შემოახვევს მუხლებს, ხელის თითებს ერთმანერთში გაუყრის. მუხლებ ქვეშ ყმაწვილს ჯოხს გაუყრიან გარდიგარდმო, ხელები, ე. ი. მკლავები ჯოხ ქვეშ ამოექცევა ყმაწვილს და მუხლები ზემოთ. ხელების ცერებს ერთი მეორეზე მიუკვრენ ბაწრით, თასმით ან სხვა რითიმე. თუ ესრედ ხელ-ფეხ შეკრული ყმაწვილი რამოდენსამე ბიჯს გადასდგამს, სიმარჯვედ ჩაეთვლება. ძნელი ასასრულებელი კია ეს თამაშობა.

თავისუფალი სვანი

---

*) იხილე „ივერია“ № 149.

და რადგანაც გასყიდვის დღემდე ყველას ნება აქვს შემოსატანი შემოიტანოს და დაიხსნას მამული გასყიდვისაგან — გამოდის რომ ისევ ის ექვსის თთვის დაცლაა და ისევ ის ექვსის თთვის შეღავათია. ბევრი ბევრი ამ შემთხვევაში სახელმწიფო ბანკისა და სათავად-აზნაურო ბანკის ვადებ შუა მამულების გასყიდვის შესახებ ორმა თთვემ ითამაშოს. ეს სათქმელიც არ არის. ორ თთვეში ½% ჯარიმაც ბევრს შეღავათს არ წარმოადგენს, რომ ღირდეს ან სალაპარაკოდ და ან იმად, რომ ამაზედ ვდგევარ და აქედამ ფეხს ვერავინ მომაცვლევინებსო. საქმე შეღავათების მეორე წყობაშია.

ბ-ნს ყიფიანს რომ ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის წესდება სცოდნოდა, ამ რიგად არ გამოსჭრიდა ყელს ჩვენის ბანკის მოვალეებს, რომელნიც განსაკუთრებულის უბედურების გამო, ვსთქვათ, ვერ შესძლებენ შემოიტანონ დაწესებული შემოსატანი. ტფილისის ბანკი ამ განსაკუთრებულს შემთხვევაში უფრო მეტს შეღავათს იძლევა, ვიდრე სახელმწიფო ბანკი.

ტფილისის ბანკის წესდების 89 მუხლში სწერია, რომ ბანკმა ყოველ წლივ მოგებიდამ უნდა გადასდოს 5% და აქედამ შეადგინოს ფული შესაწევრად თავად-აზნაურთა, რომელთაც ან ცეცხლით, ან მოუსავლობით და სხვა ამის მსგავს უბედურებით ზიანი რამ მოუვათო. 28 და 81 მუხლთა ძალითა ზედა-მხედველს კამიტეტს ბანკისას— ნება აქვს ამ ფულიდამ შემწეობა აღმოუჩინოს უბედურებით დაზიანებულსა, მერე როგორ? თუნდ ისე, რომ უკან აღარ მოსთხოვოს, სრულებით აჩუქოს. არა ერთხელ, არა ერთისა და ორისათვის შემწეობა აღმოუჩენია ზედა-მხედველს კამიტეტს ამ წესის ძალითა: ზოგის მაგიერ ზედა-მხედველს კამიტეტს ამ ფულიდამ მოუშორებია დაწესებული შესატანი დაზიანებულის მოვალისა, ზოგისათვის უსარგებლოდ უსესხებია ვადით, რაც ბანკში შესატანი ჰქონია, ზოგისათვის სარგებელი მცირეოდენი ურთმევია, ყოველივე ეს იმის მიხედვით თუ,—რამოდენად დაზიანებულია მოვალე და ამასთან რამოდენად უქონველი და შეუძლებელია. დღესაც ამისთანა წესი აქვს შეღავათისა ტფილისის ბანკსა, არამც თუ მარტო დაზიანებულ მოვალისათვის, რომელნიც ამ შემთხვევაში უსათუოდ დამფუძნებელი კი უნდა იყოს, არამედ ყოველ დაზიანებულ რაიმე განსაკუთრებულ უბედურებით თავად-აზნაურისათვის, რომელსაც კი ბანკის ძირის ფულისათვის თავისი ხვედრი შეუწირავს.

ის შეღავათი, რომელიც გარემოების მიხედვით იმაში მდგომარეობს, რომ ან სულ აჩუქოს უბედურის წლის შესატანი დაზიანებულს მოვალესა, ან მუქთად, უსარგებლოდ სესხად მიეცეს, ან მცირე სარგებლითა,—ნუ თუ ამისთანა შეღავათი უფრო დიდი არ არის იმ შეღავათზედ, რომელიც მარტო ვადით დაცლაა 6%-ით და სხვა არა-რა!..

ნუ თუ ეს შეღავათი მეტი არ არის და ნაკლებია იმ შეღავათზედ, რომელსაც სახელმწიფო ბანკი იძლევა და ბ-ნი ყიფიანი ისე მაგრად ეჭიდება, რადგანაც ამბობს, აქედამ მე ვერავინ გამომიყვანსო!.. რად მოუწადინებია ბ ნს ყიფიანს, რომ გვიქადაგებს, უფრო დიდს შეღავათს თავი დაანებეთ და ნაკლებ შეღავათზედ გადადითო!.. ასე რად გასწყრომია ბ-ნი ყიფიანი დაზიანებულ მოვალეებს, რომ გვირჩევს ბევრს შეღავათს გამოაკლეთო და ცოტას დააჯერეთო. ორში ერთი: ან არა სცოდნია, სად რა ამბავია, ან ისევ ის მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო.

11.

ახალი ამბავი

⁂ გუშინწინ მათი ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პავლე მარტყოფში წაბრძანდა.

⁂ ბორჯომიდამ გვწერენ: აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა, რომელმაც მთელი ბორჯომი შეაძრწუნაო. 11 ივლისს საბანაო აუზში დაირჩო ხუთმეტის წლის ყმაწვილი ტფილისის 1-ლ კლასიკურის გიმნაზიის მე-6-ე კლასისა, მოწაფე გერიჩი. საწყალი მამის-ერთა იყო. საცოდავს სანახავს წარმოადგენდა მისი მამა, როცა შვილის დამრჩვალი გვამი აჩვენეს. საწყალი თითქმის გონებაზე შეიშალა და ხმა მაღლა იძახდა: „ეს ჩემი შვილი არ არისო". თვითონ ეს უბედური მამა ზემოხსენებულის გიმნაზიის აღმზრდელი და დაბალ კლასების მასწავლებელია. ამ უბედურების თავიდა-თავი მიზეზი ის არის, რომ აუზს ერთს საჟენზე მეტი სიღრმე აქვს, თოკი არ არის გაბმული, რომ კაცმა ხელი ჩაავლოს. ყარაულს, რომელიც მიჩენილია, აუზს თვალ-ყური ადევნოს, ცურვა არა სცოდნოდა; აუზში კიბეა გაკეთებული, მაგრამ ისე მოწყობილი, რომ ჩავა კაცი შუამდე თუ არა, თავს ველარ იჭერს და შიგ ვარდება. ამასთანავე აუზი ისე უსუფთაოდ ინახება, რომ როცა საწყალი ყმაწვილი ამოიღეს, მუხლამდი ტალახში იყო მოსვრილი. ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოუჩნდებაო,—იტყვიან. სწორედ ისე მოსდით ამ საქმეშიაც, როცა უბედურობა მოხდა, ყველამ ეხლა აახილა თვალები, მარტო ეხლა შენიშნეს აუზის უვარგისობა.

⁂ იქიდამვე გვწერენ: „გუშინ დიდის მთავრის მეუღლის, ოლგა თევდორეს ასულის დაბადების დღის გამო ბორჯომი დღისით ბაირაღებით მორთეს და საღამოზედ დიდი ჩირაღდანი გამართეს. ბაღში სატანცაო საღამო იყო. რიგიანი დარი ჯერ კიდევ არ დამდგარა, თუმცა გამუდმებულად კი აღარა წვიმს.

⁂ იქიდამვე გვატყობინებენ: ამას წინედ კიდევ დაირჩო მტკვარში იმერელი, მეპურის ბიჭი სულაძე. ფული მოუგროვეს და ისე დამარხეს.

⁂ სურამიდამ გვწერენ: ამ დღეებში ვიყავი ს. ტეზერში (სურამის სიახლოვეს) და იქ აი რა მიამბეს შინაურის საქონლის ერთს უცნაურს ავადმყოფობაზე: ბალახის ძოვნის დროს საქონელი უცბად თურმე წაიქცევა, გაიბერება ტიკივით და ცოტა ხნის შემდეგ მოკვდება. წინაპირველად რომ ამ სახით ერთი ძროხა მომკვდარა, ჰგონებიათ ხმელი ქარი არისო (ეს ავად-მყოფობა იშვიათია). მაგრამ ორი და სამი რომ მიჰყოლია თან, მაშინ უფიქრიათ, რომ სრულიად უცნაური ჭირიაო. გუშინ წინ, მკათათვის 10 ს, ახლო სოფელში ნებოძირში მღვდელს და ორს გლეხს დახოციათ ამ ავადმყოფობით ძროხები. ვინ იცის, იქნება ეს ავად-მყოფობა წარმოსდგებოდესო მეტ-ნაკლებობით წლევანდელის დაუდგრომელის ამინდისაგან! საკვირველი ამინდები სდგას ჩვენს სურამში და ამის ახლო მახლო სოფლებში. ორი დღე რო მზესა და მშრალს მიწას უყურებდეთ, შემდეგს ორს დღეს თავ-სხმაა. ამასთანავე ისეთი სიცივეები სდგას, რომ, გეგონებათ, ღვინობისა და გიორგობის თთვეაო. მოსწრებულნი კაცნი ამბობენ, რომ ამისთანა სიცივეს და სიგრილეს სურამში და ახლო-მახლო სოფლებში არ მოესწრებივართ ზაფხულობითაო. მაგრამ ეს ცივი ჰაერი სრულიადაც ხელს ვერ უშლის მოსავალსა.

წლეულს საზოგადოდ ჩინებული გამოსავალი აქვს ნახნავ-ნათესსა. კარგა დადებულს საძნე ურემს ოთხ-ხუთ კოდამდის პური გამოდის. სიმინდებიც ძრიელ კარგებია. ერთს ძირს სიმინდს ვერ დაინახავთ რომ ორი--სამი ტარო არ ებას. თუ ღმერთი შეგვეწია და აღმოსავლეთის ქარმა არ დაუბერა, სიმინდით ავივსებით.

⁂ წლეულს სურამში მოსკოვის უნივერსიტეტის რამდენმამე სტუდენტმა მოიყარეს თავი. მათის მოთავეობით ამ თთვის 21-ს იქნება გამართული სურამში მოსკოვის სტუდენტების სასარგებლოდ ქართული თეატრი. რადგანაც 20-ს ამ თთვეს სურამის ახლო ერთს პატარა სოფელში ელიას დღესასწაულია, ამიტომ იმედია ბევრი ხალხი დაესწრობა თეატრში და ჩვენს სტუდენტობას თვალ-საჩინო შემწეობას აღმოუჩენს.

⁂ ლეჩხუმიდამ ერთს ახირებულსა და დაუჯერებელს ამბავსა გვწერენ: ყველა ვინც კი სოფლად სცხოვრებს და მეურნეობას მისდევს, სამართლიანად ამბობს, რომ ერთი და უმთავრესი სარგებლობის მომცემი წარმოება მეურნეობაში არის აბრეშუმის ჭიის მოშენება და მისი მოვლაო. ეს ჭია იმისთანა ძვირფას ნაყოფს იძლევა, რომ თუ კი ოჯახმა კარგად შეინახა და მოუარა, სიღარიბისა აღარ უნდა შეეშინდესო. ჭიას ამ მხრივ ფუთკარი თუ შეედრება და ფუტკრის ყოლა თუ დააჯილდოებს კაცს ისე, როგორც ჭიის მოვლა აჯილდოებს, მაგრამ არ შეიძლება უპირველესი ალაგი მაინც აბრეშუმის ჭიას არ დაეთმოსო. აბრეშუმეულს სავაჭრო მოედანი უფრო ვრცელი აქვს და უფრო ბევრ ნაირად არის ცხოვრებაში საჭირო. როგორც სხვა ყველაფერი, ისე ეს უკანასკნელიც ღმერთს მისთვის გაუჩენია, რომ ყველამ ისარგებლოს, მოაშენოს, აწარმოვოს და მისის ნაყოფით წინ ბიჯი წარსდგას. მაგრამ განა ეს ასე არის? განა ყველა მისდევს ჩვენში აბრეშუმის წარმოების საქმეს! განა ბევრი სარგებლობს ამ მართლა და დიდად სასარგებლო ჭიით? ძალიან ცოტა. იქნება გვიპასუხონ: „ვერა სარგებლობენ იმიტომ, რომ მოვლა და ხელის შეწყობა არ იციანო". საქმეც ეს არის, რომ მიზეზი მარტო ეს არ არის. მიზეზი იმისი, რომ ზოგიერთი კუთხე ჩვენის ქვეყნისა აბრეშუმის ჭიის მოვლის საქმეს არ ეკარება, არის ცრუ-მორწმუნეობა: მრავალი მაგალითებია, რომ ზოგიერთის კუთხის მცხოვრებლები აბრეშუმის ჭიას სოფელში არ გაატარებენ იმ აზრით, რომ, ვითომ, თუ სოფელში აბრეშუმის ჭია გამოიყვანეს, ამას იწყენს იმ სოფლის ეკკლესიის ხატი—მთავარ ანგელოზისა, ანუ წმინდა გიორგისა, და სოფელს ერთიანად ამოაკლებს სეტყვით და ქარიშხლითაო. ეს ცრუ და მავნებელი რწმუნება იქამდის მაგრად არის ფესვ მოკიდებული ზოგიერთ სოფლის მცხოვრებლებში, რომ არა ერთხელ მომხდარა შემდეგი სამწუხარო შემთხვევა; თუ გაუბედნია რომელსამე მოსახლეს და გამოუყვანია აბრეშუმის ჭია ოჯახში, იმ სოფლის მცხოვრებლები მიხტომიან ამ უკანასკნელს, გამოუტანიათ სახლიდამ გამოსული ჭიით სავსე ჩელტები და გადუყრიათ. ამ ნაირად ზოგიერთს ჩვენს სოფლებში ამ ცრუ-მორწმუნეობის წყალობით შეკრული აქვს გზა აბრეშუმის მოყვანის საქმეს. სასურველია, რომ ამ საყურადღებო საგანს მიაქციოს ყურადღება, როგორც ჩვენმა სამეურნეო საზოგადოებამ, ისე ადგილობრივმა მღვდლებმა და როგორმე აღმოკვეთონ ხალხში ამ ნაირი ცრუ-მორწმუნეობა. ნუ თუ მართლა ღვთის საწყენია, რომ კაცმა მისგან ბოძებულის სიმდიდრის წყაროებით ისარგებლოს? ნუ თუ იმ ქვეყნებში, იმ სოფლებში, სადაც აბრეშუმის წარმოება გავრცელებულია, არ არის ხატი მთავარ-ანგელოზისა და წმიდა გიორგისა? არის, მაგრამ ეს ხატები კი არ უშლიან ხალხს, აბრეშუმის ჭიას ნუ მოუვლით და ნუ ისარგებლებთო. მთელი საინგილო მისდევს ამ საქმეს, კახეთშიაც შეხვდება კაცი ამ ხელობას, გურიასა და სამეგრელოშიაც გავრცელებულია. იმერეთშიაც მისდევენ ამ საქმეს, მაგრამ ამითი ზარალი კი არა, სარგებლობის მეტი არა უნახავთ-რაო.

სწორედ დაუჯერელი ამბავია ლეჩხუმიდამ მოწერილი ამბავი და კორრესპონდენტისათვის მიგვინდვია, რამდენად მართალია ეს ახირებული ცნობა.

⁂ გუშინწინ, კვირას მთელს ქალაქში გავრცელდა ხმა, რომ ფოსტის ქუჩაზედ ვილაც გიმნაზიელი დაჰკბინა ცოფიანმა ძაღლმაო. ხმის გავრცელებისათანავე ამ ქუჩაზედ ბევრი ხალხი შეჯგუფთა, მაგრამ არაფერი ნახეს-რა.

⁂ ახალ-ციხის მცხოვრებლების აღწერა გაუთავებიათ ამ ათს ივნისს და აღმოჩენილა, რომ ახალციხეში მცხოვრებთ რიცხვი სულ 7,946 სულია; ამათში 4,206 მამათა სქესს ეკუთვნისო და 3,740 დედათა სქესსაო.

⁂ გაზ. „Москов. Лист"-ის სიტყვით, გზათა სამინისტროში წინადადება შეუტანია ერთს ინგლისის კომპანიას, რომ სურამის უღელ-ტეხილზე ჩვენ გავიყვანთ გვირაბსაო. სახელმწიფო რჩევის გარდაწყვეტილებით, ამ გვირაბის გაყვანას 10½ მილლიონი მანათი უნდა მოხმარებოდა. ეს ინგლისელი ამხანაგობა-კი თურმე 9½ მილლიონ მანათად კისრულობს ამ გზის გაყვანას და ახლავე შეაქვთ ბეი, რომ საქმეს რიგიანად შევასრულებთო.

⁂ რუსეთის გაზეთების სიტყვით, იქ საზოგადოება არსდება, რომელსაც განზრახვა აქვს კავკასიაში შაქრის ქარხნები გამართოსო.

⁂ ამ დღეებში ტფილისში პეტერბურგის საზოგადოების «C. Suqel»-ის წარმომადგენელი ჩამოსულა იმ განზრახვით, რომ იშუამდგომლოს ქალაქთან და ნება აიღოს ტფილისში ტელეფონის გაყვანისა. თუ ნება აიღო, ამ საზოგადოებას განზრახვა აქვს, აგრეთვე ახლო-მახლო საზაფხულო ადგილსა და ტფილისს შუაც გაიყვანოს ტელეფონი. ეს ამბავი დიდად სასურველია მით უფრო, რომ სხვა ქალაქებში იქაურს სავაჭრო სახლებსა, საზოგადოებრივ დაწესებულებასა და კერძო პირთა სახლებშიაც კი ტელეფონია გაყვანილი.

⁂ დაუმთავრებიათ ტფილისის მე-10 ნაწილის მცხოვრებელთა აღწერაც. ამ აღწერიდამ სჩანს, რომ ამ ნაწილში სულ 5,463 სულია 3,347 მამათა სქესისა და 2,116 დედათა სქესისა.

⁂ ივერიის № 127, ივნისის 15, დაბეჭდილი იყო, რომ „დიდი მრუდე ქუჩა" ბინძურად არისო და იმასაც სწერდნენ, თუ რა მდგომარეობაში არიან ამ ქუჩის მცხოვრებნი და მიმომსვლელნი იმის გამო, რომ სახლს № 17 აქცევდნენო. იმის შემდეგ, რაც ეს ამბავი გაზეთში იყო დაბეჭდილი, არამც თუ არ გაასუფთავეს ეს ქუჩა, უფრო უარესად გაბინძურეს. სახლი № 17 ეკუთვნის არეშოვს დახურულ ბაზრის ვაჭარს. ამ სახლის დაქცევის შემდეგ, რაც გამოუსადეგარი მიწა, ან ნაგავი დარჩა, სულ ქუჩაში გადმოუყრიათ; ამ სახლიდამ დაწყობილი ავლაბრის მეიდნის თავამდის 700 ნაბიჯი მაინც იქნება და ეს მანძილი ორის გოჯის სისქეზე მიწით და ნაგვით არის დაფარული; ადამიანს შიგ ფეხი ეფლობა; დგას საშინელი კორიანტელი. მანდილოსნები იძულებულნი არიან ტანისამოსი ისე აიკრიფონ, როგორც დიდის ტალახის დროს.

ჩვენ ქალაქში დაბალ ხალხს ჩვეულებად აქვს, დღე მოგროვილი ნაგავი ღამე გადაყაროს ქუჩაში და ამ № 17 სახლის პატრონიც ამ ჩვეულებას არ გადასულა. იმის მაგიერ, რომ ნაგავი და მიწა შორს სადმე გაეტანა, ამ ბატონს ის უმჯობინებია, რომ მუშისთვის „ერთი აბაზი უჩუქებია" და დარჩომილი მიწა და ნაგავი ღამე ქუჩაში მოუფენია.

პოლიციის მოხელეს ვუთხარ: ამისთანა ნაგვიანი ქუჩა ქალაქში არ მოიპოვება მეთქი და იმან მიპასუხა: ეს სულ ამ სახლის ნანგრევი მიწა არისო; რატომ არას ეტყვით მეთქი?... „Онъ купецъ... изъ *темныхъ* рядовъ,"—გაიქნია ხელი და გამშორდა. მართლაც კაცი „изъ темныхъ рядовъ" უნდა იყოს, რომ თავის ჯიბის შემატების გულისთვის მეზობლები და გამვლელ-გამომვლელი ხალხი ნაგავში ამოარჩოს....

ცოტა ქვევით რომ ჩავცდებით № 62 სახლთან, ხარაზი შარაფიანცის დუქნის წინ, ოთხი დღე არის, რაც ორი „პოვოზკა" ნაგავი დააგროვეს და აქამდისინ გადამქრელი არ გამოჩნდა... თუ სხვა აღარავინ არის ყურის მგდებელი, სანიტარულმა პოლიციამ მაინც ყურადღება მიაქციოს.

⁂ არა უკეთესს სურათს წარმოგვიდგენს «პოლიციის ქუჩა» —ან-

ჩისხატის ახლო, სადაც ბ. მდ—ანის სახლებს ანგრევენ.... ამის გარდა ბ. მ—ვანს დაჰვიწყებია «ქალაქის მცხოვრებთათვის სავალდებულო დადგინების» ერთი მუხლი, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ სახლის, ან კედლის დანგრევა არავის არ შეუძლიან, სანამ ქუჩის მესამედი ნაწილი, რასაკვირველია, სიგანისა, არ შემოზღუდოს ფიცრის ღობითაო.

⁂ გაზ. «Кавказъ»-ის სიტყვით, პარასკევს, 11 ივლისის საღამოს ვიღაცის ხარს გაცოფიანებულსავით ქუჩა-ქუჩა ურბენია. ვარანცოვის ძეგლის წინ დასტაკებია 6 წლის ყმაწვილს, რქები ამოუკრავს და შორს მანძილზედ გადუგდია. ბაშვი ალექსანდრე კარამელიძე ყოფილა, დაშავებულისთვის მაშინვე სამკურნალო შემწეობა აღმოურჩენიათ.

⁂ კვირას ლორთქიფანიძის „ტრამვაი“-ში ტევა არ იყო ხალხისა, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ხუთი ათასამდე სული იქნებოდა. ბევრნი ჯალაბობით წამოსულიყვნენ, მანდილოსნებიც საკმაოდ იყვნენ. ისე იყო გავსებული მოსეირნეთაგან «ტრამვაი», რომ ხალხმა დასაჯდომი ადგილი ველარ იშოვნა და იძულებულ იყო იქვე, მუშტაიდის ქვემოდგან ფრიდრიხის პივახანაში შეკრებილიყო და იქაც გაევსო ბაღი. „ტრამვაი“-ში ბ-ნი რიშარი თამაშობდა - გადი-გამოდიოდა თოკზე და ფრიდრიხის პივახანაში კი ორი პატარა ქალი უკრავდნენ მუსიკასა და ართობდნენ საზოგადოებას.

⁂ ქართლიდგანა გვწერენ, რომ თურქული გაჩნდა და საქონელი ძალიან შეაწუხაო. უჭმელ-უსმელი საქონელი დილიდამ საღამომდე ისე ჰყრიაო. საბრალო მდგომარეობაში არიან მცხოვრებელნი ამის გამო, რადგანაც ეხლა გაცხარებულის მუშაობის დროა, და ძალიან ხელს უშლის მცხოვრებელთ საქონლის ამ დროს ავად გახდომაო.

ნაკვესი

ნეიდგარდი შევიდა ტფილისის აფთიაქში, რომელიც ეკუთვნოდა დოქტორს დეპნერს და ნახა რომ იქ დიდი უწმინდურება და არევ-დარევა არის. ამ გარემოებამ ძლიერ გააჯავრა მთავარ-მართებელი.

— გამიგონე, დოქტორო, პირიდამ სასაქმებელი წამალი გაქვთ?

— გახლავს, თქვენო უაღმატებულესობავ.

— სრულებით საჭირო არ არის ეს წამალი: ავად-მყოფი შემოიყვანეთ თქვენს აფთიაქში და აქაურობის დანახვა საკმაოა, რომ პირიდამ ზიდილი დააწყებინოს.

ლელო

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოხუმი. კურთხეულს ქვეყანას რომ იტყვიან, სწორედ ჩვენი ქვეყანაა. ღმერთს აქ დაუბერტყია თავის წყალობის უხვი კალთა. ზამთარი აქ თითქმის სრულებით არ იცის. თვით იანვარში კარდნი დაუმზრალნი არიან, მინდვრები მწვანედ შემოკობილნი, ზაფხული გგონია მუდმივ აქ. ამბობენ, იტალია მშვენიერი ქვეყანა არისო, მაგრამ ჩვენი აფხაზეთი უფრო მშვენიერესი უნდა იყოს. ლიმონი, ფორთოხალი და სხვა მცენარენი, რომელნიც სამხრეთის თბილს ქვეყნებში ხარობენ, აქაც კარგად იზრდება. ეს არის მიზეზი, რომ შარშან ჩვენმა სამეურნეო საზოგადოებამ ჩინეთიდამ რამდენიმე ჩინელნი ჩაის მოხელენი გამოიწერა. ჩაის მცენარე, გსთქვათ, ისეთი სათუთი არ არის, რომ გარდა სოხუმისა და იმის არე-მარისა, არსად არ იხაროს. იმერეთში ზესტაფონიდამ მოკიდებული თვით ნოვოროსსიამდის დაბლობ და მზიან ადგილებზე ჩაის ბუჩქი ყველგან იხარებს და საჭიროც არის, რომ სამეურნეო საზოგადოება რამდენსამე ათსა და ასს მანეთს დახარჯავდეს და ყველა იმ ადგილებში, სადაც ვაზი ზამთრობით დაუმარხველადა სძლებს და ადგილი სამხრეთისაკენ არის მიქცეული და დაქანებული, დაანერგინოს მცხოვრებლებს ჩაის ბუჩქები.

ჩაი ჩვენის საუბრის საგანს არ შეადგენს და ამიტომ ამას თავი დავანებოთ. მე მოგახსენებთ, რომ აქ აფხაზეთში თითქმის ყოველ-გვარი ძვირფასი მცენარე ხარობს. იმას თქმა აღარ უნდა, რომ პური, ქერი, სიმინდი, ყოველ-გვარი მცენარე ჩვენის ქვეყნისა და ბოსტნეულობა მოდის ადვილად და უხვად. აქ დღიური ადგილი აძლევს მუშას ორას ფუთ სიმინდამდის. კოდი რომ ოთხს ფუთად ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ ერთი დღიურს 50 კოდი სიმინდი გამოდის. ასეთი გამოსავალი უფრო მაშინ გაუკვირდება კაცს, თუ მიიღებს მხედველობაში რომ იმერეთსა, ქართლსა და კახეთს დიდი შრომა და ჯაფა უნდა სიმინდსა, მაგრამ აქ მიწას იმის მეათედი შრომა და ჯაფა არ ესაჭიროება, რაც ჩვენის ქვეყნის, სხვა ადგილებსა. ამ ქვეყანაში კარგს მუშა-კაცს შეუძლიან ორ-სამ წელიწადს ფულიანი კაცი გახდეს.

მაგრამ, საუბედუროდ, აქაურობა დაცარიელებულია ამ ჟამად, თითქმის ერთი მეასედი ნაწილიც არ არის დასახლებული აფხაზეთისა, სადაც გაიხედავ, არე-მარე გაუკაცრიელებულია, ადამიანი არ მოსახლობს. ამ ომის შემდეგ აქ დაიწყეს გარდმოსახლება სხვა-და-სხვა მილეთის ხალხმა, მაგრამ, მიუხედველად ამისა, ამ ჟამად აქ ყველა ხალხზე ბლომად რიცხვითაც და სიმდიდრითაც მეგრელები უფრო არიან. საკვირველი ხალხნი კი არიან ეს მეგრელები. მათდა საქებრად უნდა გსთქვათ რომ, თუმცა ამათ ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ელობებათ, მაგრამ ამათი რიცხვი დღითი დღე ათობით და ასობით მატულობს. მეგრელები სხვათა შორის იმ გარემოების წყალობითაც მატულობენ, რომ ამათთვის აქაური ციებ-ცხელება სურდოს მსგავსი სნეულებაა; სხვა ქვეყნელები კი ასში ერთი თუ იტანს აქაურს ჰავას. მეგრელს გარდა მხოლოდ ბერძნები იტანენ კიდევ კარგად ჰავას.

წელს უმისოდაც დაჩაგრული და ახლად მოშენებული ჩვენი მხარე საქონლის ჭირმა ძრიელ უკან დასწია. ოთხფეხი, რქიანი, მსხვილი საქონელი თითქმის განახევრდა აქ. მართალია, შარშან კარგი მოსავალი მოვიდა, მაგრამ წელს ძრიელ ეშინიათ ხარების უყოლობის გამო სიმინდი დაუთესელი არ დარჩესო.

ამ დღეებში დაბრუნდნენ უკან თავის სამუშევრიდამ ის ინჟინერები, რომელნიც ამ ექვსის წლის წინად გაიგზავნენ სოჩსასა და სოხუმს შუა გზა-ტკეცილის მიმართულების გამოსაკვლევად. ამბობენ, ამ გზის კეთება წელსვე უნდა დაიწყონო. რასაკვირველია, ასეთ უგზო ქვეყანაში გზის გაკეთება სასიამოვნო საქმეა, მაგრამ, ჩემის აზრით, გზა იქ უფრო საჭირო და სასარგებლოა, სადაც ხალხი ბლომად სცხოვრებს და გზა კი არ არის; ამ გვარია სოხუმს აღმოსავლეთით მდებარე ადგილები და სამურზაყანო. ეს ადგილები ზღვაზედაც ძალიან არიან დაშორებულნი და არც არავითარი გზა აქვსთ. ამას გარდა ამ ადგილებიდამ გამოდის აურებელი ხე-ტყე, სიმინდი, დაფნის ფოთოლი და სხვა ადგილობრივი ნაწარმოები.

ანთიმოზი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ეს რამდენიმე ხანია რუსეთში დაარსდა ახალი ჟურნალი, რომელსაც უმთავრეს საგნად ისა აქვს, რომ პირუტყვებს მფარველობა გაუწიოს. ამ ჟურნალის რედაქციაში ამ დღეებში ერთი საყურადღებო ამბავი მომხდარა.

> შემოვიდა ჩვენს რედაქციაში, მოგვითხრობს ჟურნალი, ერთი ვიღაც დაგლეჯილის ტანისამოსით, მიხრწნილის სახით და ჰკითხავს ერთს ჩვენ თანამშრომელსაო:
>
> — თქვენა ხართ ჟურნალის რედაქტორიო?
>
> — არა, მაგრამ სულ ერთია; რა გნებავთ?
>
> — აი, ბატონო, რა უნდა მოგახსენოთ: თქვენ ჰშველით და მფარველობას უწევთ პირუტყვებს,—ჩამთვალეთ მეც „პირუტყვად“... რაიმე შველა აღმომიჩინეთ, გეფიცებით მეხუთე დღეა პირში ლუკმა არ ჩამსვლიაო.
>
> ამის შემდეგ ამ უცნაურმა კაცმა დაწვრილებით გვიამბო თავის უბედურობის თავ-გარდასავალიო.

ამ „შიმშილისაგან მიხრწნეულის კაცის“ თხოვნა (ესე იგი რომ ოღონდ ლუკმა-პური მიეცათ და თუ გინდ პირუტყვად ჩაეთვალათ) ვერ ავასრულეთო, ამბობს ჟურნალი,

> რადგანაც ჩვენი მოვალეობაა, მხოლოდ ოთხ-ფეხ პირუტყვებზე ვიზრუნოთ, და ჩვენთვის ესეც საკმაოა...

მოვალეობა მოვალეობად იყვეს, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, რომ ჟურნალს ცოტა გულ-კეთილობა და კაცთ მოყვარეობაც გამოეჩინა და უბედური „ორ-ფეხი პირუტყვიც“ უნუგეშოდ არ გაესტუმრებინა.

რუსეთი

— რუსეთში ზოგიერთა ერობა ძალიან თურმე ამოკლებს თავის ხარჯს ისეთს დაწესებულებათათვის, რომელნიც ფრიად სასარგებლონი არიან. გაზ. „Недѣля“ ძალიან თურმე გულ-ნაკლულად უცქერის ამ გარემოებას და ამბობს, რომ ეს თავის-თავის მოკვლაა ერობის მიერ. ერობანი ამით თავის თავსვე აუქმებენ, როცა ასე ანგრევენ და სთრგუნავენ იმას, რაც ქვეყნის სასარგებლოდ აშენებული და მოხერხებული იყოვო. ამის მიზეზი ის არის, რომ ერობის მოღვაწენი უქმნი, უზრუნველნი და მოუხერხებელნი ხალხნი არიანო. თუ ასე არ არის, მომეტებული ნაწილი ერობათა როგორ ასერხებს მაშ, რომ უარს არ ამბობს და აკმაყოფილებს ერის არსებითს საჭიროებასაო, როცა ერობათა ხაზინა ერთსა და იმავე მდგომარეობაშიაო. ესრეთნი მოუხერხებელნი მომქმედნი ერობისანი ტუვილად აბანდებენ ადგილებს, მოშორდნენ ერობის სამსახურს და თავიანთი ადგილები დაუთმონ უფრო მხნე, უფრო გამრჯე ახალს ხალხსა, რომელიც შეიძლებს უფრო უკეთესად ემსახუროს ადგილის მკვიდრთა და მათ საჭიროებათა საქმესაო. გაზ. „Русскій Курьеръ“-ი ამაზე ამბობს, რომ რასაკვირველია, არ შეიძლება კაცმა უარ-ჰყოს და სთქვას, ვითომ თითოეულ მოღვაწის ავ-კარგობას ერობათა საქმეების არევდარევაში მნიშვნელობა არა ჰქონდესო, მაგრამ მაინც ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ აქ უმთავრესი საქმე კერძო კაცები არ არიანო. ჯერ ერთი, რომ ფული ერობას ყველგან ერთი და იმდენივე არა აქვსო. იქ, სადაც ხაზინისა და „Удѣльное Вѣдомство“-ს მამულებია, იქ ერობას ფულიც ბევრი აქვსო სახარჯოდაო; იქაც საკმაოდ არის ფული, სადაც ფულის მძლეველთა უმრავლესობა მიწის მოსაკუთრე გლეხნი არიანო. ამასთანა ერობანი კი ძალიან ცოტანი არიანო. უმეტეს ნაწილად კი ისეთნი ერობანი არიან, სადაც მამულები დიდს მამულის მეპატრონეთ ეკუთვნითო და ესენი მთელის წლობითა და ათის წლობითაც არას იხდიან ერობის სასარგებლოდაო. იმდენა ვალია ამათზე დარჩენილი, რომ ეს ვალი რომ შეჰკრიბო მთელის წლის შემოსავალს მამულისას აღემატებაო. მაშინ როდესაც ყოველ-წლობით რომ გადაუხადნათ ხოლმე ერობის გადასახადი, მხოლოდ მეხუთედი უნდა ეძლიათ მამულის შემოსავლიდამაო. მეორე მიზეზი კიდევ ერობის საქმეთა ბრჯგუდ მსვლელობისა ის არის, რომ შეძლებული და მდიდარი ვინც არის ერობაში, თავის თავის მეტი აღარავინ არაფრად მიაჩნია და მხოლოდ თავისთვისა ზრუნავსო. სამოციან წელთა საზოგადოებრივი იდეალები სრულიად გაქრნენ ეხლა ჩვენშიო. არამც თუ ეს იდეალები მათი მოდაც კი გადავარდა ეხლა ჩვენს ვითომ და განათლებულს საზოგადოებაშიო. ამას დაუმატეთ კიდევ საარჩევნო წესის უვარგისობა, არ-ქონა პროვინციალურის გაზეთებისა და ხელ-აღებით უმეცრება დაბალის ხალხისა და მერე ისე სთქვით, შეიძლება-და განა ბევრი რამ გაარიგონ თუნდა ერობის საუკეთესო მოღვაწეებმაც-კიაო?! ხოლო ამ გვარი მოღვაწენი საუკეთესო თემებშიაც-კი ისე ცოტანი არიან, რომ თითო-თითოდ უნდა ჩამოსთვალო და არა ათობითაო.

უცხოეთი

საფრანგეთი. აი როგორ ყოფილა ამბავი დუელისა სამხედრო მინისტრის ბულანჟესა და სენატორის ბარონ ლარენტის შორის. სენატის კრება ყოფილა. კრებაზე უნდა ომალის ჰერცოგის საქმე გარჩეულიყო. შნელონი ამტკიცებდა თურმე, რომ მთავრობა უსამართლოდ მოექცა ჰერცოგსაო. გსთქვათ, მთავრობას ნება აქვს, პრინცების განდევნის თაობაზე შეწყნარებულის კანონის ძალით, აუკრძალოს ჰერცოგს იმის სამშობლოსათვისაო, მაგრამ განა მაგ კანონით შეიძლება, რომ ჩინები აყაროს კაცსაო? ნუ თუ არ გახსოვთ იმისი ღვაწლიო, არ იცით, რა ომები გადაუხდიაო? იმედი მაქვს სახელმწიფო რჩევა გადასწყვეტს, რომ მთავრობა ცუდად მოიქცა ამ შემთხვევაშიო. თუ იმის წინააღმდეგობის წერილს იტყვით, რომელიც ომალის ჰერცოგმა მისწერა პრეზიდენტსაო, ეგ არც შეურაცხყოფაა ვგონებ, არც წყენაო. რესპუბლიკელები ამ ბოლოს დროს [illegible] პოლიტიკას მისდევენო და ჰერცოგის წერილი კი ამტკიცებს, რომ ის დიდ-ბუნებიანის სულის პატრონიაო, რომ პატივი და ღირსება ყველაზედ ძვირად უღირსო.

პრინცები წავლენ საფრანგეთიდამ, მაგრამ მათ თან გაჰყვება რამდენისამე მილიონის ფრანსიელის პატივისცემა და სურვილი, რომ მალე უკანვე დაბრუნებულიყვნენო.

ბულანჟე. მე იმიტომ მოვიხმარე ჩემი [illegible] პრინცების წინააღმდეგ, რომ არ შეიძლება, არ მოხერხდება, ისეთს უსინიდისო და თავ-გასულის გოროზობით წერილებს სწერდნენ პრეზიდენტს მოქალაქენიო (მემარჯვენენი წინააღდეგობას აცხადებენ). ბარონი ლარენტი. თქვენ შეურაცხ-ჰყოფთ იმას, რომელიც ამ ჟამად აქ არ არის. ეგ სულის სიმდაბლეა, მხდალი მბრძანებელ ხართ. თავს-მჯდომარე. მე თქვენა გთხოვთ, რომ აგრეთის მღელვარებით არ ილაპარაკოთ. ლარენტი იმეორებს: დიახ, მხდალი ბრძანებულხართ. (თავს-მჯდომარე ზარსა ჰრეკს). ბულანჟე. თქვენა ბრძანეთ, რომ ჩემი სიტყვები სულის სიმდაბლეა და რომ მე მხდალი ვყოფილვარ. ლარენტი. სწორედ ეგრე გახლავთ. (არეულ-დარეულობა ხდება) თავს-მჯდომარე. მოგიწოდებთ, რომ წესიერად ბრძანდებოდეთ. დე-რაეინიანი. ყველანი მოგვიწოდეთ, რომ დავწყნარდეთ. ყველა იმასა ვგრძნობთ, რაც ლარენტიმა სთქვა. მოხდა დიდი არეულობა, სენატმა შეიწყნარა მთავრობის განკარგულება ომალის პრინცის შესახებ. კრების გათავების უმალვე ორი სენატორა, სეკუნდანტად არჩეული, მივიდა ლარენტისთან და უთხრა, რომ ხმალში გითხოვთ ბულანჟეო. სეკუნდანტებმა დაიწყეს მოლაპარაკება და შეადგინეს ოქმი, რომ თუ ლარენტი უკან წაიღებს სიტყვას „მხდალი“ და ბულანჟე სიტყვას „უსინიდისო თავ-გასულობა“, დუელი აღარ მოხდებაო.

ამ დროს სამხედრო მინისტრს ბულანჟეს დიდი სადილი ჰქონდა და შემდეგ მთელი აფიცრობა უნდა მიეღო საღამოზე. სადილი რომ გათავდა, ბულანჟე სეკუნდანტებს მოელაპარაკა კაბინეთში. რაუტი დაიწყო და აფიცრებს მიიღებდა ხოლმე შტაბის უფროსით. ღამის 11 საათზე გამოვიდა მინისტრი და გამოაცხადა, რომ უკან არ წავიღებ ჩემს სიტყვებსაო. ჩემი პატივი და სახელი, როგორც მხედრისა და მხედრობის უფროსისა ხელ-შეუხებელი უნდა იყოსო. კლემანსო მოელაპარაკა კიდევ მინისტრს და წავიდა კლუბში, სადაც შეატყობინა სეკუნდანტებს მინისტრის გარდაწყვეტილება. გადასწყდა, რომ დუელი მეორე დღეს დილით უნდა ყოფილიყო და იარაღი დუელისთვის ლარენტის უნდა აერჩია.

გერმანია. გერმანია, რაც ძალი და ღონე აქვს, აგროვებს ჯარებს თავის აღმოსავლეთის საზღვარზე; ამავე დროს ავსტრიამ ბოსნია-ჰერცოგოვინაში ჯარი გაამძლიერა. ვენის გაზეთებში დაბეჭდილია ბერლინიდამ გაგზავნილი დეპეშა, ვითომ მეწაღეების ამქრების ყრილობაზე ერთის ამბით და ერთის ყოფით წაიკითხეს სამხედრო მინისტრის მიწერილობაო. მინისტრი ამბობს, რომ მომავალ ომისათვის მთელის ჯარისათვის წაღებს მხოლოდ მეწაღეების ამქრებს შეუკვეთავო. საფრანგეთში მუნდირებს ამზადებენ აფიცრებისათვის; გერმანიაში-კი წაღებს ჯარის კაცთათვის. ყველა ეს ამტკიცებსო,—ამბობს გაზეთი „Новости“,— რომ მშვიდობიანობა მკვიდრს ნიადაგზე

არ არის დამყარებულიო. ასე უცქერის საქმეს თვით თავადი ბისმარკიო.

თავადი ბისმარკი კისსინგენში ბრძანებულა მადნეულს წყლებზე მოსარჩენად, მაგრამ უფრო კი დიპლომატებური განზრახვა ჰქონია სახეში; წყალს ზედაც არ დასჭკარებიაო. ბისმარკის მთელი ძალა და ღონე, მთელი მისი ყურადღება მიქცეულია ბავარიაზე; უნდა როგორმე ხელში ჩაიგდოს და მოიმხროსო. თავისი განზრახვა რომ აასრულოს, შინ მშვიდობიანობაა საჭირო, და ამას კი ბოლგარიასთან დამეგობრება მოუმართავს ხელს. აი ამითი აიხსნება ბავარიის მინისტრ-პრეზიდენტის, ბარონ ლიუცის ამდენის ხნით ყოფნა კისსინგენში; აქ ყოველ დღე მოლაპარაკება აქვს ბისმარკთან.

ამ თთვის ნახევარში თავადი მიუნჰენში წავა პრინც რეგენტის სანახავადაო. ბისმარკი ერთობ მედიდურად ექცევა ხოლმე გერმანიის წვრილ-წვრილს ხელმწიფეებსაო. უეჭველია ბისმარკი მიუნჰენშიაც ასე მოიქცევაო. ბავარია დღეის შემდეგ თვალ-საჩინო ადგილს დაიჭერს გერმანიის საქმეთა მიმდინარეობაშიო.

* * *

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგი უბოძოთ თქვენს გაზეთს „ივერიაში“ შემდეგ შენიშვნას.

წარსულის ივნისის6-ს ბ-ნ გამყრელიძისა და ბ-ნ ჭოჭუას მეუღლის შემწეობით გამართეს ჩვენს კლუბში ქართული წარმოდგენა. შემოსავალი უნდა ყოფილიყო სასარგებლოდ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“. რადგან ანგარიში ამ წარმოდგენისა უნდა ყოფილიყო რომელსამე გაზეთში გამოცხადებული და, აგერ თთვეზე მეტია მას აქეთ, რაც წარმოდგენა გაიმართა, ხოლო ანგარიში-კი არც ერთს გაზეთში არ დაბეჭდილა, უმორჩილესად გთხოვ, ვისიც ჯერ არს, მოიყვანოს აღსრულებაში დადებული პირობა, რადგან სხვათა შორის მეც შემეხება ეს საქმე, როგორც წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებსა. ამას გარდა ანგარიშის დაბეჭდვით ხალხიც გულს დააჯერებს, რომ ფული საზოგადოებას გაეგზავნა.

ფოთის საქალებო სასწავლებლის მასწავლებელი
მ. ჩ.........სა.

* * *

დეპეშა

12 ივლისს

ნიში. გაცხარებულის ბაასის შემდეგ, სკუპშჩინის უმეტესობამ წარადგინა პროექტი ადრესისა. ადრესში თითქმის იგივეა, რაც ხეფე სიტყვაში ყოფილა ნათქვამი. ახეთი ადრესი მიიღეს 82 ხმას უმეტესობით წინააღმდეგ 37.

13 ივლისს

პეტერბურგი. როგორც გუბერნატორები იწერებიან, მოსავალს 1 ივლისამდე კარგი პირი უჩანდა, რადგანაც წვიმები მოვიდაო. თითქმის ყველგან რიგიანი მოსავალია, ზოგან ძალიან კარგიც კიაო.

კისინგენი. მოლაპარაკება გრაფის კალნოკისა თავად ბისმარკთან გათავდა და კალნოკი გუშინ დაბრუნდა ვენაშიო.

ლონდონი. მარკიზი სალისბერი მოელაპარაკა გარტინგტონს, მოთავეს ლიბერალების დასის დისიდენტებისას და გუშინ მოლაპარაკების შემდეგ ოსბორნს წავიდა კოროლევასთანაო.

14 ივლისს

პეტერბურგი. გუშინ «Конный полкъ»-ის ყაზარმებში გამართეს ხადგომი დაცოფილ პირუტყვთა მოსარჩენად პასტერის წესითაო.

ბელგრადი. როგორც ამბები მოვიდა კერმოდა, ბოლგარიაში, განსაკუთრებით სოფიასა და ფილიპოპოლს არეულობანი მოხდაო.

სოფია. 25 ივლისისათვის მოწოდებულია სავარჯიშოდ მილიცია. ამ განკარგულებას განსაკუთრებული ხასიათი აქვს და ამიტომ ყველას აკვირვებს.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი—უნო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ივლისი 31 დღით არის.

15 დღე სამშაბათი. წმ. მოწ. კვირიკესი და იულიტასი. კათოლ. წმ. მოციქ. აქედ-იქით წასვლა. სომეხ. 2-რე დღე ფერის-ცვალების მარხვისა. მუსულმ. 25 რიცხვი შევალის თთვისა 1303 ჰიჯრისა. რუსეთის გამოჩენილი პოეტი მ. ი. ლერმანტოვი, 26 წლისა, დუელში მოკლეს პიატიგორსკში 1841 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—15. ტფილისში მზე ამოდის 4—49, ჩადის 7—23; მთვარე ამოდის 1—18, ჩადის 3—17. მთვარე 26 დღისაა.

16 დღე ოთხშაბათი. წმ. მოწ. ათინოგენისა, ათთა მოწაფეთა. კათოლ. წმ. ქალწ. მარიამ კარმელიისა. სპარსელების შემოსევა საქართველოში 1826 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—4. ტფილისში მზე ამოდის 4—50, ჩადის 7—22, მთვარე ამოდის 2—8, ჩადის 4—14.

17 დღე ხუთშაბათი. წმ. ქალწ. მოწ. მარინესი, ღირს. ლაზარისა. კათოლ. წმ. ალექსი ალმსაარებელისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—13. ტფილისში მზე ამოდის 4—51, ჩადის 7—21; მთვარე ამოდის 3—3, ჩადის 5—17.

18 დღე პარასკევი. მოწ. იაკინთესი და ღირს. მრავალ-წამებ. იოანესი. კათოლ. წმ. ალმსაარებელის სიმონ ლიპნიკელისა. ტფილისსა და მის ახლო-მახლო ჟამი მძვინვარებდა, რომელმაც მკათათვის თთვის განმავალობაში ბევრი ხალხი იმსხვერპლა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—11. ტფილისში მზე ამოდის 4—52, ჩადის 7—20; მთვარე ამოდის 4—6, ჩადის 6—13.

19 დღე შაბათი. ღირს. მაკრინესი და დიასი. კათოლ. წმ. ვინკენტისა პაულის ალმსაარ. სომეხ. ხსენება ძველის კიდობნისა, დღესასწაული ახლისა წმ. ეკკლესიისა. ნავასარდი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—8. ტფილისში მზე ამოდის 4—53, ჩადის 7—19; მთვარე ამოდის 5—10, ჩადის 7—4. შობა მთვარისა 8 საათ. 26 წუთ.

20 დღე კვირა. წმ. ილია წინასწარ.-მეტყ. კათოლ. მე-7 კვირა სულთ-მოფენობის შემდეგ. წმ. ალმსაარ. ცესლავისა. სომეხ. ვარდავარი (ფერის-ცვალება უფლისა). მუსულ. 1 რიცხვი ზილ-კაადეს თთვისა 1303 ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—5. ტფილისში მზე ამოდის 4—54, ჩადის 7—18; მთვარე ამოდის 7—26, ჩადის 7—48.

21 დღე ორშაბათი. ღირს. სვიმეონ სალოსისა და წინ.-მეტყ. იეზეკიელ. კათოლ. წმ. ალმსაარ. გერონიმასი. სომეხ. ჰიშატაკ მერელოცი (ხსენება მიცვალებულთა). ჭეშმარიტი შუა-დღე. 12—6—1. ტფილისში მზე ამოდის 4—55, ჩადის 7—16; მთვარე ამოდის 8—39, ჩადის 8—28.

* * *

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1-ლ აგვისტომდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის გარისხისა .	2½ ›
› › 2 ›	2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . .	4½ ›
მე-2 ხარისხისა . .	3½ ›
მე-3 —	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	14 ›
ცხვრის ხორცი . . .	7 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საკუამოთი სტამბოლამდმიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.
	დილით			
ტფილისი .	—	—	8	35
ავჭალა. . .	8	52	8	55
მცხეთა. . .	9	13	9	21
ქსანი . . .	9	39	9	41
კასპი. . . .	10	6	10	9
გრაკალი . .	10	29	10	31
გორი . . .	10	54	11	4
ქარელი . .	11	33	11	36
გომი . . .	12	—	12	4
ხაშური . .	12	21	12	41
სურამი . .	12	53	12	56
ფონი . . .	1	24	1	27
ბეჟათუბანი.	2	14	2	34
მარელისი .	3	3	3	5
ბელაგორი .	3	32	3	35
ძირულა . .	4	2	4	5
ყვირილა. .	4	43	4	58
აჯამეთი . .	5	35	5	37
	საღამოთი			
რიონი. . .	5	49	6	4
კოპიტნარი .	6	34	6	36
სამტრედია.	6	56	7	16
საჯავახო. .	7	31	7	33
ნიგოითი . .	7	56	7	59
ლანჩხუთი .	8	10	8	14
სუფსა . . .	8	47	8	55
ნატანები . .	9	19	9	22
ქობულეთი .	9	48	9	51
ბათუმი . .	10	41	—	—

სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.
	დილით			
ბათუმი . .	—	—	8	35
ქობულეთი .	9	25	9	28
ნატანები . .	9	54	9	57
სუფსა . . .	10	21	10	27
ლანჩხუთი .	11	—	11	3
ნიგოითი . .	11	14	11	16
საჯავახო. .	11	39	11	41
სამტრედია .	11	56	12	15
კოპიტნარი .	12	35	12	37
რიონი . . .	1	7	1	20
აჯამეთი . .	1	32	1	34
ყვირილა . .	2	11	2	26
ძირულა . .	3	4	3	6
ბელაგორი .	3	33	3	36
მარელისი .	4	3	4	5
ბეჟათუბანი	4	34	4	54
ფონი . . .	5	41	5	44
	საღამოთი			
სურამი. . .	6	12	6	15
ხაშური . .	6	27	6	42
გომი . . .	6	59	7	3
ქარელი . .	7	27	7	30
გორი . . .	7	59	8	9
გრაკალი . .	8	32	8	34
კასპი. . . .	8	54	8	57
ქსანი . . .	9	22	9	24
მცხეთა. . .	9	42	9	48
ავჭალა. . .	10	6	10	8
ტფილისი .	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით			
ტფილისი .	—	—	3	15
ავჭალა . .	3	38	3	41
მცხეთა. . .	4	6	4	16
ქსანი . . .	4	42	4	45
კასპი . . .	5	20	5	25
გრაკალი . .	5	53	5	56
	საღამოთი			
გორი . . .	6	28	6	43
ქარელი . .	7	24	7	29
გომი . . .	8	3	8	7
ხაშური . .	8	31	8	46
სურამი . .	8	58	—	—

	ღამით			
სურამი. . .	—	—	2	35
ხაშური . .	2	47	3	2
გომი . . .	3	26	3	31
ქარელი . .	4	5	4	12
გორი . . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	40	5	45
	დილით			
კასპი . . .	6	13	6	19
ქსანი . . .	6	54	6	57
მცხეთა . .	7	23	7	33
ავჭალა . .	7	58	8	1
ტფილისი .	8	24		

განცხადებანი

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და სადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—1)

ინგლისის მაღაზიამ

არწრუნისეულს გალერეაში მაიდოჩაი, რევოლვერები და კრავატები. ისყიდება ძალიან იაფად. (10—9)

ისყიდება მოსე ჯანაშვილის მიერ შედგენილი წიგნები:

საქართველოს მოკლე ისტორია

ფასი 60 კაპ.

(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მოწონებულია).

საქართველოს საეკლესიო ისტორია

ფასი 45 კაპ.

მერცხალი

ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. ქუთაისში: ჭილაძის მაღაზიაში. თელავში: ვ. როსტომაშვილთან; სიღნაღში: ვ. ქიტიაშვილთან; სურამში: ა. ქარსიძესთან; ფოთში: ხუმარაძესთან. ყვირილაში ბლად. დამბაშიძესთან.

ვინც 20 ცალს ‹ა› გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайлул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმ. ბ ... შაურად.

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოესი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, ბანკის ქუჩაზე (Банковскій переулокъ), სახლის № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

პრ. ჩარკვიანის

ქართულ წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახლად შედგენილი

ქართული ხმები

ნოტებზედ გადაღებული ან ბენაშვილისაგან.

ფასი 1 მან. და 60 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში მეთოდიური სახელმძღვანელო სამშობლო ენის შესასწავლებლად“, შედგენილი ა. ნათაძისაგან. ფასი 20 კაპეიკი

Дозволено цензурою Тифлисъ 14 іюля, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.